

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

ოფთალმოლოგია

/სანგრძლივობა – 4 წ. - 44 თვე/

I. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

ოფთალმოლოგიაში რეზიდენტურაში მზადების პროგრამის მიზანია – ექიმ-ოფთალმოლოგის მომზადება კვალიფიცირებულ სპეციალისტად.

პროგრამის ამოცანაა რეზიდენტებს მისცეს შესაძლებლობა კურიკულუმზე დაფუძნებული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების სიღრმისეულად შესწავლისათვის.

ექიმ-ოფთალმოლოგმა სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდეგ უნდა იცოდეს:

1. მხედველობის ანალიზატორისა და მისი დანამატების ანატომია, ფიზიოლოგია, ფუნქციები.
2. მხედველობის ორგანოს გამოკვლევის მეთოდები.
3. თვალის დანამატებისა და დამცავი აპარატის დაავადებების დიაგნოსტიკის მეთოდები, კლინიკა, მკურნალობა.
4. თვალის კაკლის წინა ნაწილის დაავადებების დიაგნოსტიკის მეთოდები, კლინიკა, მკურნალობა.
5. თვალის ოპტიკური აპარატის ანომალიების, პათოლოგიის დიაგნოსტიკა, კლინიკა, კორექციის და მკურნალობის მეთოდები.
6. თვალის კაკლის უკანა მონაკვეთის დაავადებების კლინიკა, დიაგნოსტიკის მეთოდები, მკურნალობის ასპექტები.
7. მხედველობის ორგანოს ტრავმული დაზიანებების პრევენცია, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკა.
8. ქირურგიული ჩარევის ჩვენებები, ვადები, მეთოდები.
9. ოფთალმოლოგიური სიმპტომები ორგანიზმის სომატურ დაავადებათა დროს.
10. თვალის დაავადებათა დიფერენციალური დიაგნოსტიკა.

სარეზიდენტო პროგრამის დასრულების შემდეგ ექიმ-ოფთალმოლოგმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს:

1. ავადმყოფის მხედველობის გამოკვლევა სუბიექტური და ობიექტური მეთოდებით.
2. დასვას დიაგნოზი.
3. შეიმუშაოს მკურნალობის სწორი ტაქტიკა.
4. მისი კომპეტენციის, შესაძლებლობის (გამოცდილება და ტექნიკური აღჭურვილობა) ფარგლებში განახორციელოს დაავადების ოპტიმალური კონსერვატიული და/ან ქირურგიული მკურნალობა.
5. აღმოუჩინოს პაციენტს ურგენტული დახმარება მხედველობის ორგანოს მწვავედ მიმდინარე პროცესების და ტრავმების შემთხვევაში.

ექიმ-ოფთალმოლოგის სამუშაო სფეროა ყველა ასაკის მოსახლეობის ამბულატორიული საკონსულტაციო, სამკურნალო, გადაუდებელი და სტაციონარული ტიპის სამედიცინო დახმარების დაწესებულებები.

2. სპეციალობის აღწერილობა

სპეციალობისა და სპეციალისტის განსაზღვრება (დეფინიცია) –

ოფთალმოლოგია არის სამედიცინო სპეციალობა და მეცნიერების დარგი, რომელიც აერთიანებს და სწავლობს ადამიანთა მხედველობის ორგანოს განვითარებას ონტო და ფილოგენეზში, მის ემბრიოგენეზს, მხედველობის ორგანოს ანატომიას და ჰისტოლოგიას, რეფრაქციას და მხედველობის ფუნქციებს, მხედველობის ორგანოს დაავადებების და დაზიანებების ეტიოლოგიას, პათოგენეზს, დიაგნოსტიკას, მკურნალობის კონსერვატიულ და ქირურგიულ მეთოდებს, ექსპერტიზის საკითხებს, მხედველობის ორგანოს ცვლილებებს ორგანიზმის დაავადებათა დროს.

ოფთალმოლოგიაში მზადება მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, იმ თანდაყოლილი და შექმნილი დაავადებების და დაზიანებების მართვისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მკურნალობის კონსერვატიული და ქირურგიული მეთოდები.

ოფთალმოლოგი მედიცინის დარგის სპეციალისტია, რომელიც გაიარა რეზიდენტურის კურსი ოფთალმოლოგიის სპეციალობაში და მიიღო ამ დარგში დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი. ოფთალმოლოგი ზრუნავს ბავშვთა, მოზარდთა და სრულწლოვან ადამიანთა მხედველობის ორგანოს დაავადებათა პროფილაქტიკაზე, მათ დროულ და სწორ დიაგნოსტიკასა და სრულფასოვან მკურნალობაზე. ოფთალმოლოგიური სამსახური მოიცავს ყველა ასაკის მოსახლეობის საკონსულტაციო, ამბულატორიულ, გადაუდებელ და სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას.

### სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა

ოფთალმოლოგის ზოგადი ცოდნის ფარგლებია:

პათოფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, გენეტიკური და სხვა ზოგადსამედიცინო პრობლემების საკვანძო საკითხები;

ოფთალმოპათოლოგიის განმაპირობებელი ზოგადი სისტემური დაავადებების საკვანძო საკითხები.

ოფთალმოლოგიური ფარმაცოთერაპიის და ფარმაცოკინეტიკის საფუძვლები. სამკურნალო საშუალებების ძირითადი ჯგუფების მოქმედების ზოგადი მექანიზმი თვალის ქსოვილოვან სტრუქტურებზე, მათი ხმარების ჩვენებები, უკუჩვენებები, გართულებები.

### მძიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები

- ოფთალმოლოგს უნდა შეეძლოს:
- მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ავდმყოფობის დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ ანამნეზის შეკრების საფუძველზე.
- აწარმოოს მხედველობის ორგანოს ობიექტური გამოკვლევა, დროულად განსაზღვროს სიმპტომები და სინდრომები, რომლებიც მოითხოვენ გადაუდებელ დახმარებას და გაუწიოს მას ეს დახმარება, ან მისცეს სწორი მიმართვა სამკურნალო დაწესებულებაში ან სპეციალისტთან.
- გამოავლინოს პათოლოგიური მდგომარეობის განვითარების მიზეზი. დიაგნოზის დასადგენად მიზნობრივად დანიშნოს ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები.
- მისცეს შეფასება მხედველობის ორგანოს მდგომარეობას ანამნეზის, კლინიკური და ლაბორატორიულ – ინსტრუმენტული კვლევის მონაცემების საფუძველზე, გაატაროს დიფერენციალური დიაგნოსტიკა და დასვას დიაგნოზი.
- დაასაბუთოს ავადმყოფის მკურნალობის ტაქტიკა (ბინაზე, ამბულატორიულად, სტაციონარში), შეძლოს გამოავლინოს პოსპიტალიზაციის ჩვენებები, განსაზღვროს მკურნალობის მოცულობა და ხანგრძლივობა დაავადების ხასიათის გათვალისწინებით.
- მისცეს მხედველობის ორგანოს მდგომარეობას კომპლექსური შეფასება, განსაზღვროს დაავადების მიმდინარეობის დინამიკა, მკურნალობის ეფექტურობა და პროგნოზი.
- განსაზღვროს სხვა დარგის სპეციალისტთა მოწვევის ჩვენებები, გამოიყენოს კონსულტანტთა დასკვნები დიაგნოზის დასაზუსტებლად და სამკურნალო ღონისძიებების გასატარებლად.
- წარმართოს ეთიკური, იურიდიულად დასაბუთებული განსჯა, რაც შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის ექიმ-სპეციალისტს.
- მიაწოდოს პაციენტს და მის ოჯახს წევრებსა და ახლობლებს მათი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი საჭირო რეკომენდაციები.
- აჩვენოს მზადყოფნა პროფესიული განათლებისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ოფთალმოლოგის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისათვის.
- აჩვენოს სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების ადეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, ამავედროულად თვითონაც შეეძლოს სამეცნიერო კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა.

### სპეციალობა მოიცავს ძველმედიცინის, დაავადებათა, პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას

ოფთალმოლოგია მოიცავს ქვემთხანმოთველი დაავადებების, პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას შემდეგი მოცულობით:

- თვალის რეფრაქცია – ანომალიები და კორექციის გზები

- ქუთუთოს დაავადებები
- კონიუნქტივის დაავადებები
- საცრემლე ორგანოების დაავადებები
- რქოვანის დაავადებები
- სკლერის დაავადებები
- ფვრადი გარსის და წამწამოვანი სხეულის დაავადებები
- მინისებრი სხეულის პათოლოგია
- ქორიოდეის დაავადებები
- ბადურას დაავადებები
- თვალის მამოძრავებელი აპარატის პათოლოგია, სიელმე
- ნეიროლოგიური პათოლოგია
- ბროლის დაავადებები
- თვალშიგა წნევის პათოლოგია
- თვალბუდის დაავადებები
- თვალისა და მისი დანამატების მექანიკური, ქიმიური და თერმული დაზიანებები
- მხედველობის ორგანოს დაავადებების სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველები.
- ოფთალმოლოგიური სიმპტომები ორგანიზმის ზოგად დაავადებათა და სინდრომთა დროს.

**იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს მქიმ - სპეციალისტს:**

ოფთალმოლოგს უნდა შეეძლოს შემდეგი ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება:

- სისხლის საერთო ანალიზში უჯრედული შემადგენლობის კლინიკური მნიშვნელობა;
- კოაგულოგრამის ინტერპრეტაცია;
- სისხლის ჯგუფობრიობის და რეზუს-ფაქტორის მნიშვნელობა;
- შარდის საერთო ანალიზის და ნალექის მიკროსკოპიის ინტერპრეტაცია;
- ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტოლოგიური გამოკვლევის შეფასება;
- პუნქტატის და ნაცხის ციტოლოგიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის კლინიკური შეფასება;
- ცილების, ნახშირწყლების და ცხიმოვანი მეტაბოლიზმის, აზოტოვანი ცვლის, ელექტროლიტების და ფერმენტული დარღვევების დიაგნოსტიკის მნიშვნელობა;
- ოფთალმორენდგენოგრაფია;
- ულტრაბგერითი, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დიაგნოსტიკის მეთოდების, მონაცემების ინტერპრეტაცია მხედველობის ორგანოსთან მიმართებაში.

**მქიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები –**

ოფთალმოლოგი უნდა ფლობდეს შემდეგ დიაგნოსტიკურ მეთოდებს:

- ვიზომეტრია კორექციით და უკორექციოდ;
- მხედველობის ორგანოს ბიომიკროსკოპია;
- წინა საკანის კუთხის გონიობიომიკროსკოპია, ციკლოსკოპია;
- ოფთალმოსკოპია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით;
- რქოვანას ტომოგრაფია;
- თვალის კაკლის ტონომეტრია და ტონოგრაფია;
- თვალის კაკლის ფლუორესცენტული ანგიოგრაფია;
- მხედველობის ველის გამოკვლევა, დინამიკური და სტატიკური (ზღურბლოვანი, კომპიუტერული) პერიმეტრიის მეთოდებით;
- ოფთალმოკოპერენტული ტომოგრაფია;
- მხედველობის ორგანოს რენდგენოლოგიური გამოკვლევა;
- ფერების აღქმის გამოკვლევა ფსევდოიზოქრომატული ცხრილებით;
- ბინოკულარული მხედველობის გამოკვლევა;
- ექსტრაოკულარული კუნთების (თვალის მამოძრავებელი კუნთები) ფუნქციის გამოკვლევა;

- ეგზოფთალმომეტრია;
- საცრემლე აპარატის ფუნქციონალური და რენდგენოლოგიური გამოკვლევა;
- მხედველობის ორგანოს ულტრასონოგრაფია (A & B სკანი);
- რეფრაქციის მანკების დიაგნოსტიკის სუბიექტური, ობიექტური, ინსტრუმენტული მეთოდები;
- გუგის რეფლექსების გამოკვლევა;

ოფთალმოლოგი უნდა ფლობდეს შემდეგ სამკურნალო მანიპულაციებს:

- სუბკონიუნქტივალურ ინექციას;
- რეტრობულბარულ ინექციას;
- პარაცენტეზს;
- ლაზერფოტოკოაგულაციას;
- ეპიბულბარული უცხო სხეულის ამოღებას;
- ოპტიკური და სამკურნალო კონტაქტური ლინზის გამოყენებას;
- საცრემლე გზების ზონდირებას;
- საცრემლე გზების გამორეცხვას;
- რქოვანის ნაკერის მოხსნას;
- კონიუნქტივის ნაკერის მოხსნას;

ქირურგიულ ჩარევის უნარებს:

- ქუთუთოებზე;
- კონიუნქტივაზე;
- სკლერაზე;
- რქოვანაზე;
- ფერად გარსზე;
- კატარაქტის დროს;
- გლაუკომის დროს;
- თვალში უცხო სხეულის არსებობისას;
- სიელმის საკორექციოდ;
- საცრემლე გზების დაავადებებისას;
- ორბიტის პათოლოგიისას;
- ევისცერაცია – ენუკლეაციის მიზნით;
- ლაზერულ ქირურგიას.

ოფთალმოლოგს უნდა შეეძლოს შემდეგი გადაუდებელი მდგომარეობების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და მკურნალობა:

- მხედველობის ორგანოს მწვავე სისხლძარღვოვანი უკმარისობა;
- გლაუკომის მწვავე შეტევა;
- მხედველობის ნერვის ანთება (ნევრიტი);
- მწვავე უვეიტი;
- ჰიფემა;
- ჰემოფთალმი;
- მწვავე კონიუნქტივიტი;
- კერატიტი;
- რქოვანას ეროზია;
- რქოვანას პერფორაცია;
- მხედველობის ორგანოს ტრავმული დაზიანება;
- ქუთუთოს აბსცესი და ფლეგმონა;
- ორბიტის აბსცესი და ფლეგმონა;

### 3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

სპეციალისტების მზადების პროცესი წარმართება სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილებისა და სრულყოფილი კლინიკური ბაზების პირობებში. პროგრამა შედგება 2 ძირითადი კომპონენტისაგან: კურიკულუმი და პრაქტიკული საქმიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კლინიკური მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებას.

ოფთალმოლოგის სპეციალისტად ჩამოყალიბებას საფუძველი ეყრება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში თვალის სნეულებათა დისციპლინის ათვისების დროს როგორც სავალდებულო, ასევე ელექტიური პროგრამის ფარგლებში. შემდგომი ეტაპი სპეციალობის დაუფლებისა ესაა რეზიდენტურის ოთხწლიანი პროგრამა. ოფთალმოლოგს სუბსპეციალობის (ვიტრეო-რეტინალური ქირურგია) დაუფლების მიზნით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სუბსპეციალობისათვის განკუთვნილ თეორიულ მზადებასა და ტრენინგში.

რეზიდენტი პროგრამის თითოეული ფაზის დასრულების შემდეგ გადადის მომზადების შემდეგ ეტაპზე.

სარეზიდენტო პროგრამა შედგება მოდულებისაგან, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრულ კლინიკურ როტაციას, თეორიულ კურსს და რეზიდენტის მიერ შესასრულებელ პრაქტიკულ საქმიანობას.

მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ, რეზიდენტი უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რათა შეეძლოს ოფთალმოლოგიაში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა. პროგრამა მოწოდებულია, რათა სპეციალობის მაძიებელ პირს გამოუმუშავდეს კლინიკური აზროვნება, გადაწყვეტილების მიღებისა და განსჯის უნარი, ქირურგიული ჩვევები. აღნიშნულის შემდეგ, რეზიდენტურის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს გარკვეული კლინიკური გამოცდილება და თეორიული ცოდნა, რათა ჩააბაროს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა შესაბამის სპეციალობაში.

## **შეფასების მეთოდები.**

### **სწავლების/შეფასების პრინციპები:**

რეზიდენტურის პროგრამის რეალიზაცია ხორციელდება სასწავლო-კლინიკური მოდულების ფორმით და მოიცავს რეზიდენტის:

1. თეორიულ მზადებას – ლექციებს, სემინარებს, სპეციალური უცხოური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, რეფერატული ხასიათის მოხსენების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მომზადება ხორციელდება საქმიანობიდან მოუწყვეტილად.
2. პრაქტიკულ საქმიანობას – ავადმყოფთა კურაციას, კლინიკურ გარჩევებში, კონფერენციებში მონაწილეობას, სხვადასხვა განყოფილებებში, კაბინეტებში, შესახვევში, საოპერაციოში მუშაობას და სხვ.

### *რეზიდენტის მუშაობის განრიგი*

1. პროფესიული მზადების პროგრამით გათვალისწინებული მთელი პერიოდის განმავლობაში რეზიდენტი თავის მუშაობას წარმართავს პროგრამის განმახორციელებელი-ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობის ქვეშ;
2. სამედიცინო დაწესებულებებში რეზიდენტის პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს კვირაში; სამუშაო კვირა 5.5-დღიანია, სამუშაო დღე – 7 საათიანი (შესვენების გარეშე);
3. რეზიდენტს კვირაში უნდა ჰქონდეს 1.5 დასვენების დღე. რეზიდენტის მზადების პერიოდში კვირაში მინიმუმ 5 საათი უნდა დაეთმოს კლინიკური ხელმძღვანელის, აგრეთვე სხვა ექიმების მიერ ჩატარებულ ე.წ. სასწავლო შემოვლებს, რომელთა დანიშნულებაა რეზიდენტისთვის უშუალოდ პაციენტთან მუშაობისა და კლინიკური აზროვნების (კლინიკური მონაცემების ინტერპრეტაცია, დიფერენციალური დიაგნოსტიკა და სხვ.) სწავლება;
4. საგანმანათლებლო მიზნით კლინიკური ბაზის განყოფილებებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს სამედიცინო კონფერენციები და სემინარები, რომლებიც უნდა დაეთმოს მისი სპეციალობების აქტუალური პრობლემების, კლინიკური პათოფიზიოლოგიის საკითხების, აგრეთვე დიაგნოსტიკის, მეურნეობისა და პროფილაქტიკის თანამედროვე მეთოდების განხილვას უახლესი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე. რეზიდენტი სისტემატურად უნდა მონაწილეობდეს ზემოთაღნიშნულ ღონისძიებებში, რის შესახებაც კლინიკური ხელმძღვანელი აკეთებს სათანადო აღნიშვნებს რეზიდენტის დღიურში (დასწრება, აქტიურობა, მოხსენებები, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ.).

**შეფასების მეთოდები**

1. რეზიდენტურის პროგრამის განმახორციელებელი (ხელმძღვანელი) ატარებს რეზიდენტის მიერ ჩატარებული საკმედიანობის პერიოდულ და შემაჯამებელ შეფასებას.
2. პერიოდული შეფასება ტარდება რეზიდენტის მზადების ყოველი ცალკეული მოდულის დასრულების შემდეგ, მის მიერ ამ მოდულის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგების ანალიზის საფუძველზე. მაძიებელმა მოდულის დამთავრების ბოლოს უნდა წარმოადგინოს მოდულის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამსახველი მასალა ხელმძღვანელთან ერთად შერჩეული თემის (თემების) მოხსენების PowerPoint პრეზენტაციის და დაწერილი რეფერატის სახით. რეზიდენტის პერიოდულ შეფასებას ატარებს მოდულზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. მოდულის შეფასების პროცესს აგრეთვე ესწრებიან სარეზიდენტო პროგრამაში მონაწილე პედაგოგები და დაწესებულება/სასწავლებლის რეზიდენტურის დეპარტამენტის წარმომადგენელი.
3. რეზიდენტურის პროგრამის დასრულების შემდეგ, რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე ყველა დაწესებულების მოდულზე პასუხისმგებელ პირთა და დაწესებულება/სასწავლებლის რეზიდენტურის დეპარტამენტის წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ტარდება რეზიდენტების შემაჯამებელი შეფასება.
4. რეზიდენტურის პროგრამით პროფესიული მზადების შედეგების შეფასების პროცედურა ითვალისწინებს რეზიდენტის მიერ:
  - გატარებული ავადმყოფების რაოდენობას და დაავადებების მრავალფეროვნებას;
  - ჩატარებული დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების ნაირსახეობას, რაოდენობასა და ხარისხს;
  - დაწერილი და შევსებული სამედიცინო დოკუმენტაციის (ავადმყოფობის ისტორიები და ამბულატორიული ბარათები, გამოკვლევის დასკვნები, ამონაწერები, სამედიცინო ცნობები და სხვა) რაოდენობასა და ხარისხს;
  - სამედიცინო/სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში მისი პერსონალური მონაწილეობის (გამოსვლების) სიხშირეს და დონეს;
  - ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებში თუ განყოფილებებში მოდულზე პასუხისმგებელი პირებისაგან მიღებულ დახასიათებებს.

რეზიდენტის სწავლების პროცესის შეფასების მეთოდები/მექანიზმი

მიზანი	მოსალოდნელი კომპეტენციის დონე *					მოდულის დასრულებისას მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	
	1	2	3	4	5	ხელმოწერა	თარიღი
კლინიკური გამოკვლევების და დიაგნოსტიკის უნარი							
დიფერენციალური დიაგნოსტიკის უნარი							
მკურნალობის მეთოდის არჩევის სისწორე							

\*

- 1 პასიური დასწრება, ასისტირება.
- 2 საჭიროებს მოდულზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობას.
- 3 უნარი შესწევს ჩაატაროს ზოგიერთი პროცედურა მოდულზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით.
- 4 უნარი შესწევს ჩაატაროს პროცედურა დამოუკიდებლად.
- 5 უნარი შესწევს ასწავლოს და უხელმძღვანელოს პროცედურის ჩატარებას.

მოდული ითვლება შესრულებულად თუ რეზიდენტი შეესაბამება კომპეტენციის დონეს არანაკლებ 3-ისა.

ხელის მოწერა მოდულის დასრულების დასადასტურებლად:

მოდულზე პასუხისმგებელი პირი (გვარი, სახელი):

თარიღი:

დაწესებულება:

შეფასება 3 უნდა ჩაითავლოს რეზიდენტისთვის საკმარისად.

სპეციალობის მაძიებლები, რეზიდენტურის პროგრამაში მომზადების დროს უნდა აკმაყოფილებდნენ დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს. წლიდან წლამდე, რეზიდენტთა აკადემიური კომპეტენციისა და კლინიკური უნარ-ჩვევების პროგრესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება რეზიდენტთა შეფასების პოლიტიკის საშუალებით. რეზიდენტთა საბაზისო და კლინიკური ცოდნის, კლინიკური უნარ-ჩვევების, ზოგადი სამედიცინო ასპექტებისა და სხვა კომპონენტების შეფასების ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს იყრის რეზიდენტურის პროგრამის ფაკულტეტზე და შესაბამის სტრუქტურებში. რეზიდენტთა განვითარების და მოქმედების პროგრესის მონიტორინგი ეტაპობრივად ხორციელდება თითოეული როტაციის დასრულების შემდეგ. როტაციის დასრულებამდე ბოლო კვირის განმავლობაში, ფაკულტეტის შემადგენლობაში მყოფი სტრუქტურა წერილობით უგზავნის ფაკულტეტს რეზიდენტის შეფასების შესახებ ინფორმაციას. მეორეს მხრივ, რეზიდენტის შეფასება შესაძლებელია მოხდეს ფაკულტეტის მიერ გამოცდის ტიპით მოწეობილი გამოკითხვით: ზეპირი, ტესტური, წერილობითი და/ან ჩვევებზე უშუალო ზედამხედველობის სახით. შეფასების დასრულების შემდეგ დგება ანგარიში, რომელიც გადაეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს განსახილველად და ხელმოწერისათვის. საბოლოო შეფასების ამსახველი დოკუმენტი ინახება რეზიდენტის შეფასების ფაილში, რომელიც რჩება ფაკულტეტზე. რეზიდენტს უფლება აქვს, როტაციის დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ გაეცნოს შეფასებას და მოაწეროს ხელი. მისი ხელმოწერა ნიშნავს გაცნობის და არა თანხმობის დადასტურებას. რეზიდენტს, რომლის საბოლოო შეფასების რეიტინგი დაბალია, დაუყოვნებლივ ეგზავნება შეფასების ასლი. იმავდროულად ასლი იგზავნება პროგრამის ხელმძღვანელთან. ამ შემთხვევაში, რეზიდენტს უფლება აქვს წერილობით გამოხატოს თავისი თანხმობა ან წინააღმდეგობრივი ასპექტები მოცემული შეფასების მიმართ. რეზიდენტი უნდა შეხვდეს მოდულის ხელმძღვანელს და პროგრამის ხელმძღვანელს, რათა ერთად განიხილონ სწავლების სამომავლო სტრატეგია იდენტიფიცირებული სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება გულისხმობდეს მოდულის ხელმძღვანელს გაეცნოს კი. რეზიდენტთა შეფასების პოლიტიკა მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის პრომოციის, სრულყოფის, გამოსწორების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თვალსაზრისით.

#### 4. სარეზიდენტო პროგრამის მოდულები და მათი განხორციელების ორგანიზაცია

სარეზიდენტო პროგრამა ოფთალმოლოგიაში შედგება მოდულებისაგან, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრულ თეორიულ კურსს და რეზიდენტის მიერ შესასრულებელ პრაქტიკულ საქმიანობას.

მოდულები ხორციელდება როტაციის პრინციპით მზადებაში მონაწილე კლინიკებში.

მოდულების განხორციელებას ხელმძღვანელობს მოდულზე პასუხისმგებელი პირი, აღმინისტრირებას განახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

მოდულების თემატიკაში გათვალისწინებულია ოფთალმოლოგიაში ამჟამად არსებული ავადობის სპექტრი, დაავადებათა დიაგნოსტიკა, კლინიკა, მკურნალობა, პროფილაქტიკური ღონისძიებები.

მოდულების ჩამონათვალი:

პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	მხედველობის ორგანოს ანატომია, ფუნქციები, გამოკვლევის მეთოდები.	3 თვე
1.2	თვალის წინა მონაკვეთის დაავადებები, დაზიანებები, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა.	5 თვე
1.3.	პედიატრიული ოფთალმოლოგია – განვითარების ანომალიები, თანდაყოლილი დაავადებები, სიელმე,	3 თვე

	ამბლიოპია.	
<b>პროფესიული მზადების II წელი</b>		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	რეფრაქციის მანკები, დიაგნოსტიკა, კორექცია, მკურნალობა - რეფრაქციული ქირურგია.	11 თვე
<b>პროფესიული მზადების III წელი</b>		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	კატარაქტა - კლასიფიკაცია, მეორადი კატარაქტა, კატარაქტის ქირურგიის მეთოდები, აფაკია და მისი კორექციის მეთოდები.	11 თვე
<b>პროფესიული მზადების IV წელი</b>		
4.1.	გლაუკომა - კლასიფიკაცია, დიაგნოსტიკა, ლაზერული და ქირურგიული მკურნალობის მეთოდები, მონიტორინგის პრინციპები.	5 თვე
4.2.	თვალის უკანა მონაკვეთის დაავადებები, დიაგნოსტიკა, კლინიკა, მკურნალობა.	6 თვე

## 5. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საბანანათლებლო რესურსები

ოფთალმოლოგიის სპეციალობაში რეზიდენტურის პროგრამის ჩატარება შეუძლია სამედიცინო-სასწავლო დაწესებულებას ან დაწესებულებათა ჯგუფს, რომელსაც გააჩნია რეზიდენტების სრულყოფილი პროფესიული მზადებისათვის საჭირო ადამიანური საკადრო რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიღებული აქვს სათანადო სახელმწიფო აკრედიტაცია დადგენილი წესით. რეზიდენტურის პროგრამაში რამდენიმე სამედიცინო-სასწავლო დაწესებულების მონაწილეობის შემთხვევაში მათი რიცხვიდან შეირჩევა სათაო დაწესებულება, რომელშიც წარიმართება მზადების პროგრამის უმეტესი ნაწილი და განლაგდება პროგრამის ხელმძღვანელის ოფისი.

რეზიდენტურის პროგრამის აკადემიური პერსონალი:

ა) რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე თითოეული დაწესებულების თანამშრომელთა რიცხვიდან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეირჩევა რეზიდენტების მზადების მოდულზე პასუხისმგებელი პირი/პირები;

ბ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციას კონკრეტულ კლინიკურ ბაზაზე რეზიდენტების მზადების პროცესის პრაქტიკული წარმართვა და კონტროლი მზადების პროგრამის მოთხოვნილებების შესაბამისად;

გ) მოდულზე პასუხისმგებელი პირი - კლინიკური ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რეზიდენტურის პროგრამის დირექტორის წინაშე;

დ) კლინიკური ხელმძღვანელი თავისი პროფესიული საქმიანობის ნაწილს უთმობს რეზიდენტის სასწავლო პროგრამას;

ე) კლინიკურ ხელმძღვანელს ოფიციალურად უნდა ჰქონდეს გამოყოფილი დრო რეზიდენტებთან პედაგოგიური მუშაობისათვის. კლინიკური ხელმძღვანელის მიერ რეზიდენტებისათვის ჩატარებული ტრენინგის დრო ძირითადად უნდა დაეთმოს პაციენტებთან პრაქტიკულ მუშაობას სტაციონარისა და/ან ამბულატორიულ პირობებში და მიმართული უნდა იყოს ოფთალმოლოგიის სპეციალობით პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის პრინციპების და მეთოდების) სრულყოფილი ათვისებისაკენ.

რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარულ და/ან ამბულატორიულ განყოფილებებში ავადმყოფების რაოდენობა და დაავადებების სპექტრი უნდა იძლეოდეს აღნიშნული სპეციალობით ღრმა კლინიკური გამოცდილების მიღების საშუალებას.

სასწავლო გეგმისა და პროგრამის უდიდესი ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ მზადებას, ანუ რეზიდენტის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით რეზიდენტის პრაქტიკულ (დიაგნოსტიკურ, სამკურნალო და პროფილაქტიკული ხასიათის სამედიცინო მომსახურება) მუშაობას. სასწავლო გეგმაში არ არის რეგლამენტირებული სწავლების სხვადასხვა ფორმების (ლექციები, სემინარები, თემატიკური კონფერენციები, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა) ხანგრძლივობა.

ექიმ-ოფთალმოლოგის პროფესიული მზადების ძირითადი მეთოდია რეზიდენტის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური მუშაობის უშუალო შესრულება რეზიდენტურის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში.



## 6. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

რეზიდენტის პაციენტთან მუშაობის პროცესი ორივე სუბიექტის უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის კონტროლით.

თითოეული რეზიდენტი ასრულებს გარკვეულ საქმიანობას. თეორიული მოდულის შესრულება გამოიხსნება იმისათვის, რომ რეზიდენტმა შესძლოს ავადმყოფთა ფართო სპექტრის განსხვავებული შემთხვევების ნახვა, შესწავლა და მართვა; მიიღოს საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამით. ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე ზედამხედველობა ხორციელდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ. თითოეულ რეზიდენტზე ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. საჭიროა გაკონტროლდეს რეზიდენტის მიერ მისი ინდივიდუალური გეგმის შესრულება, რეზიდენტის წასვლა-მოვლის განრიგი, სხვა ვალდებულებანი, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. რეზიდენტს, კომპეტენციასთან ერთად, პროპორციულად ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები, მათ შორის ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით. საბოლოო პასუხისმგებლობა ყველა პაციენტის მკურნალობასთან ან სამედიცინო მომსახურების სხვა სახეებთან დაკავშირებით ეკისრება მოდულზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც უშუალოდ ადევნებს თვალყურს რეზიდენტთა კლინიკურ აქტივობას.

რეზიდენტის ზედამხედველს გააჩნია, როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობა თითოეული პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ამავე დროს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის საქმიანობაზე და განათლებაზე. უფლებამოსილება განისაზღვრება ზედამხედველის მიერ, გამომდინარე რეზიდენტის აკადემიური მომზადებისა და ტექნიკური მზაობის ასპექტებიდან. ამგვარი მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს ზედამხედველის პირადი/უშუალო ხანგრძლივი დაკვირვებიდან, რომელიც გარკვეულწილად პასუხისმგებელი უნდა იყოს რეზიდენტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისებაზე და ამ უკანასკნელის ხარისხზე. ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის, მომზადების პროგრამა უნდა მოიცავდეს ზედამხედველობის განხორციელების შემდეგ პრინციპებს:

1. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები შესაძლებელია განისაზღვროს შინაგანაწესით ან სხვა რაიმე პროცედურული ნორმით კლინიკაში ან კონკრეტულ რომელიმე დეპარტამენტში;
2. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები და წესები პერიოდულად მოწმდება დაწესებულების/სასწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გასვლითი ვიზიტების დროს;
3. სათანადო ზედამხედველობა ხელს არ უნდა უშლიდეს პროგრესულ და შედარებით უფრო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებას რეზიდენტთან დაკავშირებით; ამგვარად, ზედამხედველობის ტიპი შესაძლებელია ვარიირდეს კლინიკური სიტუაციებისა და რეზიდენტის მომზადების ეტაპისა და დონის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ფაკულტეტის წევრი ან ზედამხედველი, ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი რჩევის მიცემის, დახმარების ან კონსულტაციური მხარდაჭერისათვის.

### რეზიდენტთა მიერ პროგრამის შეფასება

ოთხწლიანი სწავლის განმავლობაში, რეზიდენტები აფასებენ ოფთალმოლოგიაში დიპლომის შემდგომი მზადების სარეზიდენტო პროგრამას. შეფასების დროს გათვალისწინებულია მათი ავადმყოფთან მუშაობის ხარისხი, პროგრამის შესრულების რეალურობა; ასევე მიუთითებენ მათ სურვილებსა და მოსაზრებებს პროგრამის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით. პროგრამის რომელიმე ფრაგმენტის მათი მხრიდან უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, მათ სთხოვენ ასევე წარმოადგინონ პრობლემის გამოსწორების საკუთარი ხედვა. შეფასების დროს გარანტირებულია სრული ანონიმურობა. შეფასების შედეგები ბარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. აღნიშნული სამსახური, საკუთარი ინიციატივით, ყოველი წლის ბოლოს თვითონ ატარებს სარეზიდენტო პროგრამის ხარისხის გენერალურ შეფასებას. ამ პროცესში რეზიდენტებთან ერთად მონაწილეობენ რეზიდენტურის ფაკულტეტის წევრებიც. შედეგები მუშავდება და ხელმისაწვდომი ხდება შეფასების დასრულებიდან მოკლე ვადებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამის ხელმძღვანელს უგზავნის რეკომენდაციებს, სწავლების ხარისხის

დახვეწისა და გაუმჯობესების თავისებურებებთან დაკავშირებით. საყოველთაო შეფასების დადებითი შედეგების არსებობის შემთხვევაში, თუ ამგვარი წარმატება სისტემატურია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადრავს სათანადო შუამდგომლობას, აღნიშნული ტენდენციის მხარდასაჭერად და მატერიალური წახალისების თაობაზე.

## 7. პროგრამის მართვა და აღმინისტრირება

პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს “ოფთალმოლოგიაში” დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამის ხელმძღვანელობა, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), პროგრამაში მონაწილე კლინიკური ბაზების წარმომადგენლები (მოდულების მიხედვით).

პროგრამის აკადემიური/პედაგოგიური პერსონალი მეთვალყურეობს კურიკულუმის პრაქტიკულ განხორციელებას ცალკეულ კლინიკებში.

კურიკულუმი ეფუძნება, მაგრამ არ იმეორებს დიპლომამდელ სამედიცინო განათლებას და წარმოადგენს სრულფასოვან სპეციალისტად ჩამოყალიბების საფუძველს. მაძიებელი ეუფლება თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ცოდნის შექმნის მეთოდებს, რომელიც განაპირობებს მათ საექიმო გამოცდილებას.

მაძიებელი თავის საქმიანობისას ეცნობა, ითვისებს და ხელმძღვანელობს 2003 წლის 6 მაისს საქართველოს ექიმთა კონგრესის მიერ მიღებულ “საქართველოს ექიმის კოდექსს”, სადაც ჩამოყალიბებულია პაციენტთან, კოლეგასთან, მთლიანად საზოგადოებასთან ექიმის ურთიერთობის განმსაზღვრელი ეთიკური პრინციპები.

მაძიებელი მზადების საფეხურების შესატყვისად იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას დამოუკიდებელი სწავლისა და მუშაობის უნარს. დამოუკიდებელი მუშაობის მაგალითია ამჟამად მოქმედი რეზიდენტების არაერთი გასვლითი საქმიანობა რაიონებში და საქველმოქმედო აქციებით გათვალისწინებული პაციენტთა გამოკვლევებში მონაწილეობა.

რეზიდენტურის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს რეზიდენტების მომზადებას ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებში ან მათ განყოფილებებში. პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატურად ატარებს რეზიდენტების მზადების პროცესის შეფასებას, ადგენს ყოველწლიურ დეტალურ ანგარიშს თითოეული რეზიდენტის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

## 8. პროგრამის ხანგრძლივობა

